№ **561/ს** **20 / მარტი / 2019 წ.**

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „ემ ემ მშენს“ შორის 2018 წლის 26 ნოემბერს N280/1 დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შეუსრულებელი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო შეწყვეტის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „ემ ემ მშენს“ შორის 2018 წლის 26 ნოემბერს N280/1 გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული იყო: დუშეთის მუნიციპალიტეტის ჭონქაძის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ არღუნში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. შპს „ემ ემ მშენს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ შეუსრულებია. 2018 წლის 26 ნოემბრის N280/1 ხელშეკრულების მე-14 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „ემ ემ მშენს“ შორის 2018 წლის 26 ნოემბერს დადებული N280/1 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ჩაითვალოს შეწყვეტილად 2019 წლის 27 იანვრიდან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის გამო.

2. მუნიციპალური შესყიდვების სამსახურმა უზრუნველყოს საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ზურაბ სეხნიაშვილი